ადრე შუასაუკუნეების პოლიტიკური თეოლოგია და ცვლილებები შუა საუკუნეების მსოფლმხედველობაში (ევსები კესარიელი)

ნიკოლოზ წიქარიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამაგისტრო პროგრამა
შუა საუკუნეების კვლევები

2025 წელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და
ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს, ბატონ გიორგი გვალიას
ამავე ფაკულტეტის შუა საუკუნეების კვლევების
მაგისტრანტის ნიკოლოზ წიქარიძის

განაცხადი

მე, სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ აღნიშნული თეზისი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს. მასში არაა ასახული სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებული, გამოსაქვეყნებლად გამზადებული ან/და დაცვისთვის წარდგენილი მასალები. ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული რაიმე ტექსტი სათანადო წესების დაცვის გარეშე.

პატივისცემით,

ნიკოლოზ წიქარიძე
2025

აბსტრაქტი

ევსევი კესარიელმა, კონსტანტინეს მმართველობის ოცდაათ წლისთავზე, 335 წელს, წარმოთქვა პანეგირიკი, რომელიც აღნიშნავდა იმპერატორის ღვთისმოსაობას და რწმენას. ეს პანეგირიკია სახელწოდებით: Oratio de Laudibus Constantini, ანუ „კონსტანტინეს დიდება“. ის არ წარმოადგენს, მხოლოდ იმპერატორის განდიდების, ღვთისმოსაობის, მისი წარმატებების და მორალური კეთილშობილების წარმოჩენის ტექსტს, არამედ მნიშვნელოვანი პასაჟებით იგი წარმოგვიდგება, როგორც პოლიტიკური თეოლოგიის ნიმუში. ის გვაძლევს სურათს ქრისტიანი მონარქის ღვთაებრივი ლეგიტიმაციისა და ასევე, რეცეპტს ან გზამკვლევს, თუ როგორი უნდა იყოს ქრისტიანული იმპერიის ქრისტიანი მონარქი, რათა მას ეს ლეგიტიმაცია ჰქონდეს. მასში მოცემულია, არა მხოლოდ იმპერატორის და ღმერთის კავშირი, არამედ იმპერიის და საღვთო სამეფოს კავშირიც. პანეგირიკის დიდი ნაწილი აღწერს იმ საქმეებს, რომელიც კონსტანტინეს წარმოაჩენს, როგორც ღვთისმოსავ და დიდებულ მმართველს. ასევე იმ ურთიერთ მიმართებას, რაც კონსტანტინესა და უზენაესი სუვერენის მხოლოდშობილ ძეს აქვს. იგი ის იდეალია, რომელმაც ქრისტიანული მონარქიის სურათხატი მოგვცა.

უფლის მხოლოდშობილი ძე - Λογος (ლოგოსი, მისი სიტყვა, სიბრძნე ან გონება) ის საშუალებაა, რომლითაც იმპერატორს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს საღვთო ლეგიტიმაცია და უფლება. ეს ხდება მაშინ, თუ კი, ის მიჰყვება ღვთაებრივ არქეტიპს და დედამიწაზე უზრუნველყოფს ზეციური სამეფოს ანარეკლს მიწიერებაზე. ჩვენ ამ თეზისში, შესაძლებლობის ფარგლებში, მიმოვიხილავთ ელინისტობამდე და ელინისტური პერიოდის პოლიტიკური ფილოსოფიის საკითხებს, ვინაიდან, ლოგოსი, რომელიც ევსებისთან, ქრისტიანულ კონტექსტშია წარმოდგენილი, სწორედ წარმართული პერიოდის სააზროვნო სისტემებიდან იღებს სათავეს.

ჩვენ დავინახავთ იმ ლოგიკურობას, რომელიც ხსნის, თუ რატომ მიმართავს ევსები, აღნიშნულ ფილოსოფიურ კონცეფციებს და წარმართული შაბლონებით, გადმოსცემს ქრისტიანული მონარქიისა და მონარქის ჩარჩო-გზამკვლევს. „კონსტანტინეს დიდება“, წარმოადგენს იმ ლათინური პანეგირიკების სკოლის ერთ-ერთ უკანასკნელ ეტაპს, რომელიც მოცემულია პოლიტიკური თეოლოგიის ნიშნით და მონოთეისტური მონარქიის ჭეშმარიტების მტკიცე რწმენით.